აკაკი თოფურიძის პირადი ფონდი

ფონდი
Фонд 287 1 63

ფონდი
Фонд 287 1 63

დასკანირებულია 6
15-01

ПОСТОЯННОГО ХРАН

53.

საქართველოს კომუნისტი
1967 № 12

# საბჭოთა ლიტერატურის იდეოლოგიისათვის ბრძოლის ისტორიიდან

ა. თოფურია

მუშათა კლასისა და გლეხობის განთავისუფლებისათვის რევოლუციური ბრძოლის გარიჟრაჟზე, 1905 წლის რევოლუციის გადამწყვეტ პერიოდში, როცა ბოლშევიკური პარტიის მოწოდებით ხალხის უფართოესი მასები პირველად დგებოდნენ მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ შეიარაღებული ბრძოლის დიდ ქარიშხლიან გზებზე, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს შემქმნელმა ვ. ი. ლენინმა ბოლშევიკურ გაზეთ „ნოვაია ჟიზნში“ 1905 წლის 13 ნოემბერს გამოაქვეყნა ცნობილი სტატია „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა“.

განუზომელია ლენინის ამ სტატიის ისტორიული მნიშვნელობა სოციალისტური ლიტერატურის შექმნისა და განვითარების საქმეში. იგი წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს საგანძურს ლიტერატურისმცოდნეობისთვისაც, არა მხოლოდ თეორიული თვალსაზრისით, როგორც მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი ნაშრომი, არამედ წმინდა პრაქტიკული თვალსაზრისითაც, როგორც ლიტერატურისადმი პარტიული ხელმძღვანელობის, მისთვის მშობლიური ზრუნვის კლასიკური ნიმუში.

ვ. ი. ლენინმა თავის სტატიაში „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა“ დაიცვა და განავითარა მარქსისტული შეხედულება ლიტერატურის კლასობრივი ხასიათის შესახებ, გაანადგურა ხელოვნების „ზეკლასობრიობის“ ყალბი, ბურჟუაზიული თეორია, წამოაყენა და დაასაბუთა ლიტერატურის პარტიულობის პრინციპი და ამით განსაზღვრა სოციალისტური ლიტერატურის განვითარების გზები და ამოცანები.

ჯერ კიდევ 1895 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „ნაროდნიკობის ეკონომიური შინაარსი და მისი კრიტიკა ბ-ნ სტრუვეს წიგნში“ ლენინი ხაზგასმით აღნიშნავდა: „მატერიალიზმი შეიცავს, ასე ვთქვათ, პარტიულობას, რაც მოვლენათა ყოველი შეფასების დროს სავალდებულოს ხდის პირდაპირ და აშკარად დადგომას განსაზღვრული საზოგადოებრივი ჯგუფის თვალსაზრისზე“ (თხზ., ტ. 1, გვ. 481).

ვ. ი. ლენინის ამ გენიალური ფორმულირებით ლიტერატურის სოციალურ ბუნებას პირველ რიგში სწორედ მისი პარტიულობა განსაზღვრავს. ის პოზიცია, რომელიც უჭირავს მხატვრულ ლიტერატურას, როგორც იდეოლოგიის სპეციფიკურ ფორმას, საზოგადოებრივ ჯგუფებსა და კლასებს შორის ბრძოლაში, აქცევს მას ამა თუ იმ კლასის საზოგადოებრივი იდეალების მიღების ან უარყოფის იარაღად. აქედან ცხადი ხდება, თუ რა უდიდეს საშუალებას წარმოადგენს მხატვრული ლიტერატურა მასების შეგნებულობის ამაღლებისა და აღზრდისათვის.

ბურჟუაზიულ ლიტერატურულ კარიერიზმს და „ბატონკაცურ ანარქიზმს“ ვ. ი. ლენინმა იმთავითვე დაუპირისპირა „ფულის ქისისაგან“ თავისუფალი ლიტერატურა სოციალისტური პროლეტარიატისა.

ხალხის დარაზმვა და აღზრდა სოციალიზმის იდეით — ასეთია ლენინისეული გაგებით პროლეტარული ლიტერატურის მთავარი ამოცანა, მისი პარტიულობის მთავარი ქვაკუთხედი. მაგრამ ეს არ ნიშნავდა მხატვრული ლიტერატურის იდეური შინაარსისათვის მისი სპეციფიკურობის, ფორმის მსხვერპლად შეწირვას. ლენინი იქვე აღნიშნავდა, რომ მწერლის შემოქმედებითს ფანტაზიას ნამდვილი გასაქანი მხოლოდ სოციალისტურ საზოგადოებაში მიენიჭება, მაშინ ექნება მას უსაზღვრო შესაძლებლობანი მხატვრული ფორმის სრულყოფისათვის, მისი თანდათანობითი გაშლისა და გაფართოებისათვის.

„უდავოა, — წერდა ლენინი, — ამ საქმეში უეჭველად საჭიროა მეტი გასაქანი მიეცეს პირად თაოსნობას, ინდივიდუალურ მიდრეკილებებს, გასაქანი მიეცეს აზრსა და ფანტაზიას, ფორმასა და შინაარსს“ (თხზ., ტ. 10, გვ. 36—37).

ლიტერატურის პარტიულობის ლენინური პრინციპი არა მხოლოდ საბჭოთა ლიტერატურის, არამედ მთელი საბჭოთა იდეოლოგიის იდეურ-პოლიტიკური მრწამსის განმსაზღვრელი მძლავრი მეთოდოლოგიური პრინციპია. იგი ისტორიული კატეგორიაა, რომლის მთელი არსი იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენმა მწერლობამ სწორად, მაღალიდეურად და მაღალმხატვრულად გამოსახოს ჩვენი სოციალისტური ცხოვრების სინამდვილე, საბჭოთა ხალხის გრძნობები და მისწრაფებანი, მათი საუკეთესო თვისებები, და ყველაფერი დაუმორჩილოს ერთ მთავარ, დიად ამოცანას — ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის მაღალ ინტერესებს.

ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების დღიდანვე კომუნისტური პარტიის პოლიტიკა მხატვრული ლიტერატურის დარგში ყოველთვის განისაზღვრებოდა და განისაზღვრება საბჭოთა სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესებით, კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის ამოცანებით.

საბჭოთა ლიტერატურის ჩამოყალიბებისა და განვითარების პირველი წლები (1917—1920) აღსანიშნავია, ერთი მხრივ, ახალი სოციალისტური სინამდვილის გამომხატველი რეალისტური ნაკადის იდეურ-შემოქმედებითი განმტკიცებით, ხოლო, მეორე მხრივ, სხვადასხვა ლიტერატურულ მიმდინარეობათა შესამჩნევი გამოცოცხლებითა და გააქტიურებით. ეს მიმდინარეობანი წარმოადგენდნენ ოქტომბრის რევოლუციით განადგურებული ექსპლოატატორული კლასების იდეოლოგიას მხატვრულ ლიტერატურაში. მათდამი დაპირისპირებული პლატფორმით ასპარეზზე გამოჩნდა იმ დროისათვის საკმაოდ მძლავრი ლიტერატურული გაერთიანება „პროლეტკულტის“ (პროლეტარული კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაცია) სახელწოდებით. ამ პლატფორმის მავნე ფიზიონომია. უწინარეს ყოვლისა, გამოვლინდა კულტურისადმი ანტილენინური დამოკიდებულებით.

ახალი სოციალისტური კულტურის შექმნა „პროლეტკულტელებს“ შესაძლებლად მიაჩნდათ „მხოლოდ პროლეტარიატის დამოუკიდებელ ღონისძიებათა დახმარებით“, წინა, რევოლუციამდელი დროის კულტურული მემკვიდრეობის გამოუყენებლად, კულტურის სფეროში მომუშავე სპეციალისტთა ვიწრო ჯგუფის მეშვეობით, ლაბორატორიული კარჩაკეტილობის გზით. მათი აზრით, სო-

ციალიზმის ინტერესებთან საერთო არაფერი ჰქონდა პუშკინისა და ლერმონტოვის, ტურგენევისა და ლევ ტოლსტოის შემოქმედებას. „რა შეეძლო დაეწერა კომუნისტისათვის ღირებული და ჭკუის სასწავლი მწერალ-მემამულეს ან ბიუროკრატ-მოხელეს?“ — აყენებდა კითხვას 1919 წელს ერთ-ერთი პროლეტკულტელი და იქვე უპასუხებდა — „არაფერი“. „თუ ვინმე შეშფოთებულია იმით, რომ პროლეტარიატის შემოქმედნი არ ცდილობენ შეავსონ სიცარიელე, რომელიც ჰყოფს ახალ შემოქმედებას ძველისაგან, ჩვენ ვეტყვით — მით უკეთესი, არ არის საჭირო მემკვიდრეობითი კავშირი“, — იუწყებოდა „პროლეტკულტელების“ მეორე ჟურნალი.

„პროლეტკულტელების“ პოლიტიკური გადაგვარება იქამდე მივიდა, რომ მათ უარი განაცხადეს მონაწილეობა მიეღოთ ქვეყნის კულტურულ რევოლუციაში, შესულიყვნენ განათლების სახალხო კომისარიატის სისტემაში, დამორჩილებოდნენ პარტიულ ხელმძღვანელობას. უფრო მეტიც, 1918 წლის სექტემბერში მოსკოვში მოწვეულ კონფერენციაზე მათ თავიანთი თავი გამოაცხადეს „ავტონომიურ პროლეტარულ ორგანიზაციად“. „პროლეტკულტელების“ ასეთი მოქმედება არ შეიძლებოდა დიდხანს გაგრძელებულიყო.

კომუნისტურმა პარტიამ ვ. ი. ლენინის მეთაურობით გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა „პროლეტკულტელებს“. 1920 წლის ოქტომბერში „პროლეტკულტელთა“ ყრილობის რეზოლუციის მის მიერ შედგენილ პროექტში ვ. ი. ლენინმა სასტიკად დაგმო ნიჰილიზმი წარსულისადმი, როგორც სექტანტური კარჩაკეტილობისა და სეპარატიზმის გამოხატულება. „პროლეტკულტელთა“ ანტიმარქსისტული, ყალბი თეორია სოციალისტური კულტურის წარმოშობისა და განვითარების შესახებ საბოლოოდ გაანადგურა ლენინმა 1920 წლის 2 ოქტომბერს თავის ისტორიულ სიტყვაში კომკავშირის III ყრილობაზე. ამ სიტყვაში ჰპოვა კლასიკური ფორმულირება წარსულის მემკვიდრეობის კრიტიკული ათვისების ცნობილმა ლენინურმა თეორიამ.

„პროლეტარული კულტურა, — აღნიშნავდა ყრილობაზე ლენინი, — არ არის საიდანღაც გამომხტარი რამ, იგი არ არის იმ ადამიანთა გამონაგონი, რომელნიც თავისთავს პროლეტარული კულტურის სპეციალისტებს უწოდებენ. ეს თავიდან ბოლომდე ჩმახია. პროლეტარული კულტურა უნდა იყოს ცოდნის იმ მარაგის კანონზომიერი განვითარება, რომელიც კაცობრიობამ შეიმუშავა კაპიტალისტური საზოგადოების, მემამულური საზოგადოების, მოხელური საზოგადოების უღელქვეშ“ (თხზ., ტ. 31, გვ. 343).

ლენინის პირდაპირი მითითებით 1920 წლის 1 დეკემბერს „პრავდაში“ გამოქვეყნდა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის სპეციალური წერილი „პროლეტკულტელების შესახებ“. ცენტრალური კომიტეტის ამ წერილის მნიშვნელობა უდიდესია. მასში პირველად იყო ჩამოყალიბებული და განსაზღვრული პარტიის პოლიტიკის ძირითადი პრინციპები მხატვრული ლიტერატურის დარგში არა ხოლოდ სამოქალაქო ომის, არამედ შემდგომი წლებისთვისაც.

პროლეტკულტელებს, — ნათქვამი იყო წერილში, — მოაწყდნენ ჩვენთვის სოციალურად უცხო ელემენტები, წვრილბურჟუაზიული ელემენტები, რომლებიც ზოგჯერ ფაქტიურად ხელში იგდებენ პროლეტკულტელების ხელმძღვანელობას. ფუტურისტებმა, დეკადენტებმა, მარქსიზმისადმი მტრული იდეალისტური ფილოსოფიის მომხრეებმა და ბოლოს, აშკარად ბედუკუღმართმა, ბურჟუაზიული პუბლიცისტიკისა და ფილოსოფიის რიგებიდან გამოსულმა ადამი-

ანებმა აქა-იქ დაიწყეს პროლეტკულტელებში მთელი საქმეების წარმართვა. „პროლეტარული კულტურის“ სახით მუშებს სთავაზობდნენ ბურჟუაზიულ შეხედულებებს ფილოსოფიაში (მახიზმი), ხელოვნების დარგში კი მუშებს უნერგავდნენ უაზრო, შერყვნილ გემოვნებას (ფუტურიზმი).

კომუნისტური პარტიის ბრძოლა „პროლეტკულტელთა“ წინააღმდეგ — ეს იყო ბრძოლა ახალი სოციალისტური კულტურის შექმნისათვის, ფართო მასშტაბით კულტურული რევოლუციის გაჩაღებისათვის, ბრძოლა სოციალისტური ხელოვნებისა და ლიტერატურის მასობრიობისათვის, ხალხურობისათვის, კომუნისტური იდეურობისა და პარტიულობისათვის.

მიუხედავად სამოქალაქო ომის ფრონტზე შექმნილი მძიმე მდგომარეობისა, კომუნისტური პარტია, ვ. ი. ლენინი მუდამ იჩენდნენ გულისხმიერ, სათუთ და ყურადღებიან დამოკიდებულებას მწერლებისადმი, მხატვრებისადმი, კულტურის მოღვაწეებისადმი. ლენინის საუბრები და მიმოწერა მ. გორკისთან 1918—1919 წლებში, ლენინის დაინტერესება დემიან ბედნისა და ვ. მაიაკოვსკის შემოქმედებით, მისი გამამხნევებელი წერილი ა. სერაფიმოვიჩისადმი შვილის დაღუპვასთან დაკავშირებით და სხვ. მოწმობენ, თუ რა მშობლიური მზრუნველობით ზრდიდა კომუნისტური პარტია თავიდანვე, ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების დღიდანვე, საბჭოთა ლიტერატურას, რომლის სათავეში იდგა „ადამიანთმცოდნეობის“ დიდი კორიფე, გენიალური მხატვარი და ჰუმანისტი მაქსიმ გორკი.

სახალხო მეურნეობის აღდგენისა და რეკონსტრუქციის პერიოდში (1921—1925 წწ.) გამწვავებულმა კლასობრივმა ბრძოლამ თავისებური მძაფრი გამოხატულება ჰპოვა იდეოლოგიაში, კერძოდ, მხატვრულ ლიტერატურაში. წარმოიშვა მთელი რიგი ლიტერატურული დაჯგუფებანი — „სერაპიონელი ძმები“, „პერევალი“, „კონსტრუქტივისტები“ და სხვ. (ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარების მოცემულ ეტაპზე ასეთ დაჯგუფებათა რიცხვს მიეკუთვნებოდნენ „აკადემიური ჯგუფი“, „ფუტურისტები“, „ცისფერყანწელები“), რომლებიც პირველ ხანებში ახალი სოციალისტური სინამდვილისადმი არალოიალურ დამოკიდებულებას იჩენდნენ. ამ დაჯგუფებებს უპირისპირდებოდა პროლეტარიატის რიგებიდან გამოსულ მწერალთა თაობა, რომელიც გაერთიანდა თავის დამოუკიდებელ ორგანიზაციად — „რაპპად“ (რუსეთის პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია. ამის მსგავსად შეიქმნა საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციაც).

ასეთ ვითარებაში ლიტერატურის ფრონტზე პროლეტარული იდეოლოგიით გამსჭვალული ახალი ბირთვის შექმნასა და განმტკიცებას, ამ იდეოლოგიის დაპირისპირებას ძველი ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური იდეოლოგიისადმი, მწერალთა ახალი კადრების აღზრდას, ცხადია, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ამ ამოცანას ემსახურებოდა პირველ ხანებში „რაპპი“. სწორედ ამიტომ უჭერდა პირველად მის არსებობას მხარს კომუნისტური პარტია.

რკპ(ბ) XII და განსაკუთრებით XIII ყრილობების რეზოლუციებში მნიშვნელოვანი ადგილი ჰქონდა დათმობილი ლიტერატურული პროცესების ანალიზს, დასახული იყო კონკრეტული, მომენტის შესატყვისი ღონისძიებანი ლიტერატურის განვითარების გზებზე არსებულ დამახინჯებათა და ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. ამ რეზოლუციებში დაყენებული საკითხების ერთგვარ რეზიუმეს წარმოადგენდა ცნობილი ისტორიული დადგენილება, რომელიც

მიიღო 1925 წლის 18 ივნისს რკპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა სახელწოდებით „პარტიის პოლიტიკის შესახებ მხატვრული ლიტერატურის დარგში". ეს დადგენილება საბჭოთა ლიტერატურის განვითარების ისტორიაში შევიდა, როგორც უმნიშვნელოვანესი პარტიული სახელმძღვანელო დოკუმენტი, რომელშიც მოცემული იყო მაშინდელი ლიტერატურული ცხოვრების ღრმა ანალიზი და დასახული იყო ლიტერატურის შემდგომი განვითარების გზები და ამოცანები.

თავის ვრცელ დადგენილება-რეზოლუციაში პარტიის ცენტრალური კომიტეტი პირველ რიგში ყოველი ჭეშმარიტი მწერლის ყურადღებას მიაქცევდა სოციალიზმის მშენებლობის სადღეისო ამოცანებზე, მოუწოდებდა მათ მთელი თავიანთი შემოქმედებითი გატაცებით ჩაბმულიყვნენ იმ გიგანტურ, მჩქეფარე საქმიანობაში, რომელსაც ეწეოდა ახალი ცხოვრების ასაგებად კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით გმირი საბჭოთა ხალხი.

არა ჯგუფობრივი კარჩაკეტილობა და ინდივიდუალისტური შეზღუდულობა, არამედ ინტერესებისა და მისწრაფებების ერთიანობა, შემოქმედებითი შეჯიბრება და იდეურობის ამაღლება, არა ინდიფერენტიზმი და მიზანტროპული შოვინიზმი, არამედ ორგანული დაახლოება ახალ სინამდვილესთან და ახლად წარმოშობილი სოციალისტური ერების ნაციონალური კულტურისადმი სრული პატივისცემა და სოლიდარობა, არა მხატვრული ფორმის ფეტიშიზაცია და სტილის გაბუნდოვანება, არა კლასიკოსების უარყოფა და უგულებელყოფა, არამედ ნაწარმოების იდეური შინაარსისადმი ფორმის ადეკვატური დამორჩილება, სტილის სიცხადე და ხალხურობა, კლასიკოსების მიღწევათა კრიტიკული ათვისება და გამოყენება, არა უხეში ადმინისტრირება და ქედმაღლური დამოკიდებულება ლიტერატურული „თანამგზავრებისადმი", არამედ მათი თანდათანობითი აღზრდა და გადმოყვანა სოციალიზმის რელსებზე, არა შიში ნაკლოვანებებისა და სიძნელეების წინაშე, არამედ გაბედული, ობიექტური მხილება და ბრძოლა მათი დაძლევისათვის, — ასეთი იყო პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1925 წლის 18 ივნისის რეზოლუციის მთავარი აზრი.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის ზემოაღნიშნულ რეზოლუციაში პირველად იყო დასმული საკითხი ერთიანი იდეური პლატფორმის გარშემო მთელი ლიტერატურული ძალების გაერთიანების, კონსოლიდაციის შესახებ, კომუნისტური პარტიის მსოფლმხედველობით მწერალთა კადრების იდეური აღზრდის აუცილებლობის შესახებ. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა რეზოლუციის მე-12 პუნქტი, რომელიც ლიტერატურული კრიტიკის საქმიანობას, მის მიზნებსა და ამოცანებს განსაზღვრავდა. საბჭოთა ლიტერატურულ კრიტიკას პარტიამ თავიდანვე მაღალი მოთხოვნები წაუყენა.

რეზოლუციაში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა სსრ კავშირის მოკავშირე რესპუბლიკებსა და ოლქებში ეროვნული ლიტერატურის განვითარების პრობლემებს. ამ დროისათვის რუსული საბჭოთა ლიტერატურის უშუალო ზეგავლენით ზრდისა და აყვავების გზაზე იყო დამდგარი მოძმე ხალხების ლიტერატურა. მაგრამ მოძმე საბჭოთა რესპუბლიკებსა და ოლქებში ახალი სოციალისტური ლიტერატურის ფორმირება და განვითარება ისევე რთულ წინააღმდეგობრივ პირობებში მიმდინარეობდა, როგორც საერთოდ რუსულ ლიტერატურაში.

ცენტრალურმა კომიტეტმა მოითხოვა ყურადღების გამახვილება სსრ კავშირის რესპუბლიკებსა და ოლქებში ეროვნული კულტურის განვითარებაზე. ამ საკითხში პარტიის სწორი პოლიტიკის შემუშავებისათვის, სოციალისტური კულტურის შემდგომი აყვავებისა და განვითარებისათვის ვ. ი. ლენინის გარდაცვალების შემდეგ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ი. ბ. სტალინის სიტყვას, რომელიც მან წარმოთქვა პოლიტიკური ამოცანების შესახებ აღმოსავლეთის მშრომელთა კომუნისტური უნივერსიტეტის სტუდენტთა კრებაზე 1925 წლის 18 მაისს.

„ჩვენ პროლეტარულ კულტურას ვაშენებთ. ეს სავსებით სწორია, — ამბობდა ი. სტალინი თავის გამოსვლაში, — მაგრამ ისიც სწორია, რომ პროლეტარული კულტურა, თავისი შინაარსით სოციალისტური, გამოხატულების სხვადასხვა ფორმებსა და საშუალებებს იღებს სოციალისტურ მშენებლობაში ჩაბმულ სხვადასხვა ხალხებში, ენის, ყოფაცხოვრების და სხვ. განსხვავების მიხედვით. თავისი შინაარსით პროლეტარული, ფორმით ნაციონალური, — ასეთია ის საერთო-საკაცობრიო კულტურა, რომლისკენაც მიდის სოციალიზმი. პროლეტარული კულტურა კი არ უარყოფს ნაციონალურ კულტურას, არამედ შინაარსს აძლევს მას. და, პირიქით, ნაციონალური კულტურა კი არ უარყოფს პროლეტარულ კულტურას, არამედ ფორმას აძლევს მას“ (თხზ., ტ. 7, გვ. 152).

პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1925 წლის 18 ივნისის რეზოლუციის გამოქვეყნებას დიდი კმაყოფილებით შეხვდა მწერალთა საზოგადოებრიობა. „ამ რეზოლუციას, — წერდა მ. გორკი, — უეჭველია, უდიდესი აღმზრდელობითი მნიშვნელობა ექნება ლიტერატორებისათვის და ძლიერად უბიძგებს წინ რუსულ მხატვრულ შემოქმედებას“ („პრავდა“, 1954, № 283).

ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის განხორციელების პერიოდში (1925—1931 წწ.) სოციალიზმის მშენებლობის დარგში მოპოვებულმა თვალსაჩინო წარმატებებმა, სოციალისტური სინამდვილის სწრაფი გარდაქმნისა და ჩვენი სამშობლოს თავდაცვითი უნარიანობის განმტკიცების მზარდმა ფაქტორებმა განაპირობეს საბჭოთა ლიტერატურის საუკეთესო შემოქმედებითი ძალების იდეური ზრდა, მათი ერთსულოვანი დარაზმვა სოციალისტური მშენებლობის დიადი ამოცანების გარშემო.

მაგრამ ახალ ეტაპზე საბჭოთა ლიტერატურის იდეური ზრდის შემფერხებელ ზღუდედ იქცა სწორედ „რაპპი“, რომელსაც უკვე ჰეგემონური, გაბატონებული, პრივილეგიური მდგომარეობა ეჭირა. „რაპპელები“ თავიანთ მოქმედებაში ემყარებოდნენ ლიტერატურისმცოდნეობაში მაშინ გაბატონებულ „ვულგარული სოციოლოგიზმის სკოლას“, რომლის მიმდევრები მარქსიზმის ნიღბით იდეალისტური ესთეტიკის მახინჯ აზრებს ქადაგებდნენ. ამ „სკოლის“ ერთ-ერთი „თეორეტიკოსი“ იყო პერევერზევი. აქედან წარმოიშვა ტერმინი „პერევერზევშჩინა“. პერევერზეველები ამახინჯებდნენ მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის ძირითად ამოსავალ პრინციპებს, უარყოფდნენ ლიტერატურისადმი ისტორიულ მიდგომას, კლასიკოს მწერალთა შემოქმედებას განიხილავდნენ არა მასში გამოსახული კონკრეტულ-ისტორიული ეპოქის, მოწინავე საზოგადოებრივი იდეების და მხატვრული ოსტატობის ანალიზის საფუძველზე, არამედ წინასწარ შედგენილი სქემის მიხედვით, იმის მიხედვით, თუ რომელი სოციალური ჯგუფის ინტერესებს გამოხატავდა მწერალი, რომელი კლასის წარმომადგენელი იყო იგი.

ასეთი იყო ის სოციალური, ლიტერატურული და საზოგადოებრივი პირობები, რომლებშიც მწიფდებოდა ნიადაგი სალიტერატურო-სამხატვრო ორგანიზაციების მოძველებული სტრუქტურის ძირფესვიანი გარდაქმნისათვის.

მაგრამ ამ გარდაქმნას წინ უსწრებდა კომუნისტური პარტიის მთელი რიგი ღონისძიებანი, მიმართული საუკეთესო შემოქმედებითი ძალების თანდათანობითი შემჭიდროებისაკენ, პარტიისა და სახელმწიფოს პოლიტიკის გარშემო მათი შეგნებულად დარაზმვისაკენ.

1932 წლის 23 აპრილს საკავშირო კომუნისტური პარტიის(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო ისტორიული დადგენილება „სალიტერატურო-სამხატვრო ორგანიზაციათა გარდაქმნის შესახებ". ამ დადგენილების გამოქვეყნებიდან იწყება ახალი, ყველაზე მნიშვნელოვანი და მაღალი ეტაპი საბჭოთა ლიტერატურის განვითარების ისტორიაში. პარტიამ ამ დადგენილებით ბოლო მოუღო დაჯგუფებათა უპრინციპო ბრძოლას ლიტერატურულ ორგანიზაციებში, მოხსნა ყოველგვარი დაყოფა „მოკავშირეებად", „თანამგზავრებად", რომელთა საფარქვეშ „რაპპელები" (ავერბახელები) არასწორ პოლიტიკას ატარებდნენ, და ჭეშმარიტად სწორი, თავისუფალი შემოქმედებითი განვითარების გზა გაუხსნა ყოველ პატიოსან საბჭოთა მწერალს.

დადგენილების საკონსტატაციო ნაწილში პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ მეცნიერული სიღრმითა და სიცხადით იყო არგუმენტირებული მოტივები, რომლებმაც განაპირობეს არსებული ლიტერატურულ-სამხატვრო ორგანიზაციების ლიკვიდაციის გარდუვალობა. უწინარეს ყოვლისა, პარტია ხაზს უსვამდა ქვეყნის ეკონომიკასა და კულტურულ ცხოვრებაში მომხდარ სერიოზულ ცვლილებებს; სოციალისტური მშენებლობის წარმატებათა საფუძველზე შესაძლებელი გახდა ახალი სოციალისტური კულტურის შექმნა, ხელოვნებისა და ლიტერატურის უჩვეულო განვითარება. თუ პარტია საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში ყოველმხრივ უწყობდა ხელს პროლეტარული ლიტერატურის მცირერიცხოვანი კადრების განმტკიცებას, იცავდა მას ბურჟუაზიული იდეოლოგიის შემოტევისაგან, ახლა, გაშლილი ფრონტით სოციალიზმის მშენებლობის პირობებში, სრულიად შეიცვალა სოციალურ ძალთა განლაგება. საბჭოთა საზოგადოებრივმა წყობილებამ ცხადყო თავისი უპირატესობა და სიდიადე, წამოიზარდა, გამრავლდა და გაფართოვდა მწერალთა ახალი კადრების რიგები ფაბრიკა-ქარხნებიდან, კოლმეურნეობებიდან, მშრომელთა ინტელიგენციიდან; „რაპპის" ორგანიზაციული ჩარჩო ვიწრო აღმოჩნდა შექმნილ ახალ ლიტერატურულ ვითარებაში.

ეს გარემოება, — აღნიშნავდა ცენტრალური კომიტეტი თავის დადგენილებაში, — ქმნის იმის საშიშროებას, რომ ეს ორგანიზაციები, ნაცვლად საბჭოთა მწერლებისა და მხატვრების დარაზმვისა სოციალისტური მშენებლობის ამოცანების გარშემო, გადაიქცევიან ჯგუფობრივი კარჩაკეტილობის კულტივირების საშუალებად, თანამედროვეობის პოლიტიკური ამოცანებისა და სოციალისტური მშენებლობისადმი თანაგრძნობით განწყობილ მწერალთა და მხატვართა მნიშვნელოვანი ჯგუფებიდან მოწყვეტის საშუალებად. გამოდიოდა რა აქედან, საკ. კპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა:

1. ლიკვიდირებულ იქნას პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია (პროლეტარულ მწერალთა ასოციაციების საკავშირო გაერთიანება, რუსეთის პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია);

2. ყველა ის მწერალი, რომლებიც მხარს უჭერენ საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმას და ცდილობენ მონაწილეობა მიიღონ სოციალისტურ მშენებლობაში, გაერთიანებულ იქნას საბჭოთა მწერლების მთლიან კავშირში, სადაც შეიქმნას კომუნისტური ფრაქცია.

ასე წარმოიშვა საბჭოთა მწერლების სრულიად საკავშირო გაერთიანება — საბჭოთა მწერლების კავშირი. ამ დროიდან ერთბაშად გაიზარდა საბჭოთა მწერლობის როლი და ადგილი ქვეყნის იდეოლოგიურ ცხოვრებაში, კომუნიზმის მშენებლობისათვის ბრძოლის საქმეში.

პარტიის ცენტრალური კომიტეტი როდი დაკმაყოფილდა მწერალთა ორგანიზაციების მარტოოდენ სტრუქტურული აგებულების შეცვლით. მან გამოიჩინა თაოსნობა და მზრუნველობა ბოლომდე განეხორციელებინა ეს გარდაქმნა, შეეიარაღებინა საბჭოთა ლიტერატურა მწერლების წინაშე დასახული ახალი დიდი ამოცანების შესატყვისი თეორიული საფუძვლებით.

კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1932 წლის 23 აპრილის დადგენილებამ „სალიტერატურო-სამხატვრო ორგანიზაციათა გარდაქმნის შესახებ“, 1934 წლის 17 აგვისტოს მოწვეულმა მწერალთა კავშირის I საკავშირო ყრილობამ, ამ ყრილობაზე მ. გორკის ღრმაშინაარსიანმა მოხსენებამ და პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით ჟდანოვის გამოსვლამ დიდად შეუწყო ხელი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკთა ერთსულოვნად შემოკრებას, ახალი, არნახული ჰორიზონტები გადაშალა საბჭოთა მწერლების წინაშე. კომუნისტური პარტიის მზრუნველობა საბჭოთა ლიტერატურის მძლავრი შემოქმედებითი აღმავლობის გადამწყვეტი პირობა გახდა.

ფასდაუდებელი იყო იდეოლოგიურ დარგში მუშაობის შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ ომისშემდგომ პერიოდში მიღებულ ისტორიულ დადგენილებათა მნიშვნელობა. დიდი სამამულო ომის ძლევამოსილად დამთავრებამ მთელი მსოფლიოს წინაშე ცხადყო საბჭოთა სახელმწიფოებრივი წყობილების, საბჭოთა სამშობლოს სიმტკიცე და ძლიერება, საბჭოთა ხალხების ურღვევი მეგობრობის ძალა და სიდიადე, საბჭოთა პატრიოტიზმის ცხოველმყოფელობა. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხი შეუდგა ომით მიყენებული ჭრილობების მოშუშებას, დანგრეული სახალხო მეურნეობის აღდგენას და დასახული დიადი მიზნების განხორციელებისათვის მშვიდობიან მშენებლობას. საბჭოთა იდეოლოგიის, საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების წინაშე ახალი გრანდიოზული ამოცანები დაისახა.

მაგრამ ომის დამთავრების შემდეგ ლიტერატურასა და ხელოვნებაში, საბჭოთა იდეოლოგიის ამ ერთ-ერთ ყველაზე მგრძნობიარე, მასობრივ უბანზე საგრძნობი გახდა მოშვებულობა, თვითკმაყოფილების სენით დაავადება, ლიტერატურისა და ხელოვნების საზოგადოებრივ-აღმზრდელობითი როლის, პარტიულობის ლენინური პრინციპის მაღალი მოთხოვნების მივიწყება. გახშირდა უიდეო, სუსტი, აპოლიტიკური მხატვრული ნაწარმოებების ბეჭდვა, ხოლო ლიტერატურული კრიტიკის მებრძოლი ხმა ნაკლებად გაისმოდა.

პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა რადიკალურ ღონისძიებათა გატარებით ბოლო მოუღო იდეოლოგიურ ფრონტზე შექმნილ არანორმალურ მდგომა-

რეობას და ამ უბნისადმი კონტროლისა და ხელმძღვანელობის გაძლიერებით საბჭოთა ლიტერატურის შემდგომ განვითარებას მძლავრი ბიძგი მისცა.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებში ხაზგასმით იყო მითითებული, რომ საბჭოთა ხელოვნება და ლიტერატურა ყოველთვის უნდა ხელმძღვანელობდეს მხოლოდ იმით, რაც შეადგენს საბჭოთა წყობილების, საბჭოთა სახელმწიფოს სასიცოცხლო საფუძველს, — მისი პოლიტიკით. საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკა განუყოფელია პარტიის პოლიტიკისაგან, ხოლო პარტიის პოლიტიკის ძალა იმაშია, რომ იგი ემსახურება საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის ინტერესებს, საბჭოთა ხალხისა, რომლის იდეურ-კულტურული მოთხოვნილების დონე განუწყვეტლივ იზრდება და მაღლდება. ამიტომ საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებები პირველ რიგში გამსჭვალული უნდა იყოს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკის სულისკვეთებით, საბჭოთა ხალხის იდეურ-პოლიტიკური და კულტურული აღზრდის სულისკვეთებით.

პარტიის ეს მოთხოვნა ახალი მოთხოვნა როდი იყო. იგი წარმოადგენდა იმ მოთხოვნების ბუნებრივ და ლოგიკურ გაგრძელებას, რომლებიც დააყენა ვ. ი. ლენინმა ჯერ კიდევ ადრე, 1905 წლის რევოლუციის პერიოდში, სოციალისტური ლიტერატურისა და ხელოვნების წინაშე.

ლიტერატურის პარტიულობის ლენინური პრინციპის შინაარსი სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის წარმატებით დამთავრებისა და სოციალიზმიდან კომუნიზმზე თანდათანობით გადასვლის ვითარებაში სცილდება მის პირვანდელ — მხოლოდ პროლეტარიატის კლასობრივი ინტერესების ფარგლებს, ფართოვდება და მაღლდება საერთო-სახალხო ინტერესების დონემდე. ეს ინტერესები საბჭოთა ხალხის ინტერესებია. ამიტომ ლიტერატურაში პარტიულობის პრინციპი გულისხმობს კომუნიზმის მშენებელი გმირი საბჭოთა ხალხის ინტერესებისა და მისწრაფებების სრულყოფილ გამოხატვას, მისი მორალურ-პოლიტიკური განმტკიცებისათვის ბრძოლას. სწორედ ეს ანიჭებს საბჭოთა ლიტერატურას დიდ საზოგადოებრივ-აღმზრდელობითს მნიშვნელობასა და მამობილიზებელ-გარდამქმნელ ძალას. ამიტომ ლიტერატურის პარტიულობის ლენინური პრინციპის წმიდად დაცვა პარტიას ყოველთვის მიაჩნდა და მიაჩნია საბჭოთა ლიტერატურის იდეური ზრდის, სოციალისტური რეალიზმის განვითარების მთავარ ქვაკუთხედად.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვებში საბჭოთა მწერლების II, III და IV საკავშირო ყრილობებისადმი შეჯამებულია მთელი ის წარმატებანი, რომლებიც მოიპოვა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნის მძლავრმა ლიტერატურამ პირველი ყრილობიდან განვლილი დროის მანძილზე. ამ წლებში დიდად გაიზარდა საბჭოთა ლიტერატურის საერთაშორისო ავტორიტეტი, უსაზღვროდ გადიდდა მის მკითხველთა წრე საბჭოთა კავშირის ფარგლებს გარეთ, განსაკუთრებით სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში. საბჭოთა ლიტერატურამ მილიონობით საზღვარგარეთელი მკითხველის აღიარება მოიპოვა იმით, რომ იგი ყოველთვის გამოდის, როგორც ჰუმანიზმის, ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის მედროშე, როგორც მშრომელთა ინტერესების დამცველი და კაცობრიობის ნათელი მომავლისადმი ოპტიმისტური რწმენით გამსჭვალული ლიტერატურა.

სწორედ ამ დიდი შემოქმედებითი წარმატებებისათვის დაჯილდოებულ იქნა ლენინის ორდენით საბჭოთა მწერლების კავშირი, რომელიც თავის რიგებში ამჟამად ექვსი ათასზე მეტ წევრს აერთიანებს. საბჭოთა მწერლების ეს მძლავრი არმია უდიდესი აღტაცებით შეხვდა ამ მაღალ ჯილდოს, რაც ნათელი და მკაფიო გამოხატულებაა იმისა, თუ რა განუყოფლად არის დაკავშირებული მწერალთა მომავალი ბედი ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს წინსვლისა და განმტკიცების ინტერესებთან.

მიმართავდა რა საბჭოთა მწერლების კავშირის IV ყრილობას, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ასე ჩამოაყალიბა საბჭოთა მწერლის როლი და დანიშნულება სოციალისტურ საზოგადოებაში:

„იყო საბჭოთა ქვეყნის ლიტერატორი — ნიშნავს ყოველთვის და ყველაფერში იყო პარტიის მტკიცე მებრძოლი, სახავდე კომუნისტურ შემოქმედებითს ჰეროიკას, შეურიგებლად იბრძოდე ბურჟუაზიული იდეოლოგიის ყოველი გამოვლინების წინააღმდეგ.

იყო საბჭოების ქვეყნის ლიტერატორი — ნიშნავს ზედმიწევნით გრძნობდე დროის მაჯისცემას, ხალხთან იყო ბრძოლაში და მშენებლობაზე, ცხოვრობდე მისი საქმეებითა და საზრუნავით, ხალხს ახმარდე მთელ შენს ნიჭსა და ოსტატობას, შენი გულის მთელ მგზნებარებას.

იყო საბჭოთა ქვეყნის ლიტერატორი — ნიშნავს შენი სიტყვით ფრთას ასხამდე ადამიანს, უღვიძებდე მაღალ ზრახვებსა და გრძნობებს, ანიჭებდე მას სიხარულსა და ესთეტიკურ სიამოვნებას“.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებში ერთხელ კიდევ მოცემულია ლიტერატურის პარტიულობის ლენინური პრინციპისა და სოციალისტური რეალიზმის ურყევი პრინციპების ბოლომდე დაცვის შესანიშნავი ნიმუში. საბჭოთა ლიტერატურა, თავისუფლდება რა ზოგიერთი მოძველებული, დოგმატური ფორმულირებისაგან ესთეტიკის საკითხებზე, როდი თმობს თავის მეთოდოლოგიურ საფუძვლებს, იგი ბოლომდე შეურიგებელი რჩება ამ საფუძვლების რაიმე სახით შეცვლის ან გაყალბების ყოველი ცდის მიმართ. კომუნისტური პარტიის, საბჭოთა ხალხისა და საბჭოთა ლიტერატურის ეს განუყრელი ერთიანობა, მონოლითურობა და ურღვევი კავშირი ის მტკიცე დასაყრდენია, რომელზეც შენდება, ვითარდება და ჰყვავის ჩვენი მრავალეროვნული სოციალისტური კულტურა, ლიტერატურა და ხელოვნება.

В этой книге пронумеровано

ხუთი (15) ფურცელი

"____" _____ 19__ г.

02.11.93 [illegible]